წელიწადი მეორე | ფასი 7 კაპ. | კვირა, 8 მაისი 1916 წ. № 103

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ**

2 მაისს, დილის 4 საათზე განისვენა მგოსანმა

## ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ

რასაც გულისკვნესით აუწყებს ქართველ საზოგადოებას

## „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

გასვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან. წირვისა და წესის აგების შემდეგ, შუადღის 12 საათზე. წირვი დაიწყება დილის 9 ს.

თავზარდაცემული **მარიამ ივანეს ასული, ვანო, თამარ, ბეტა და თინა ევდოშვილები და ევა ნოდარის ასული ჯანყარაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 2 მაისს, გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთა—საყვარელი მამა და მესამესი—დაუვიწყარი სიძე

## ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲘᲡᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ
## ᲮᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ

გასვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან, წირვისა და წესის აგების შემდეგ, შუადღის 12 საათზე. წირვა დაიწყება დილის 9 ს.

## „ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ“ რედაქცია

მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 2 მაისს, დილის 4 სათ. თბილისში გარდაიცვალა

## მგოსანი ირ. ევდოშვილი

## „ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა „ნაკადული“-ს თანამშრომელი და სარედაქციო კომისიის წევრი ძვირფასი მგოსანი

## ᲘᲠ. ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ

დაკრძალვა მოხდება დღეს დიდუბის პანთეონში. გამოსვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან, შუადღის 12 საათზე,

მწუხარებით გულდამწვარი **ბაბილინა ისაკის ასული და ნიკოლოზ სვიმონის ძე კურდღელაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობმეგობართ, რომ 2 მაისს დილის 4 საათზე მიიცვალა მათი უსაყვარლესი პირველისა ძმა, მეორისა ცოლის ძმა

## ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲘᲡᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ
## ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ-ᲮᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გასვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან, წირვისა და წესის აგების შემდეგ, შუადღის 12 საათზე. წირვა დაიწყება დილის 9 ს.

გულმოკლული **პოლკოვნიკი ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი და მისი მეუღლე ნინო** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 მაისს, დილის 4 საათზე, გარდაიცვალა პირველისა საყვარელი ძმა მეორისა მაზლი

## ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲘᲡᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ
## ᲮᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გასვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან, წირვისა და წესის აგების შემდეგ, შუადღის 12 საათზე. წირვა დაიწყება დილის 9 ს.

2 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

## ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲘᲡᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ
## ხოსიტაშვილი-ევდოშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმა თომა ისაკის ძე, რძალი ოლღა დავითის ასული შვილებითურთ.**

2 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

## ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲘᲡᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ
## ᲮᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **სიდედრი ევა ჯანყარაშვილისა, ცოლის ძმა მიხეილ ივანეს ძე ჯანყარაშვილი ცოლშვილით.**

## ᲛᲒᲝᲡᲐᲜ ᲘᲠ. ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲬᲔᲡ-ᲠᲘᲒᲘ

**დაკრძალვა მოხდება 8 მაისს, კვირას, დიდუბის პანთეონში.**

წირვა დაიწყება 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში ეპისკოპოზ ანტონის და სამღვდელოების თანამწირველობით. იგალობეს რამდენიმე გუნდი.

12 საათისთვის ეკლესიიდან ძვირფას მგოსნის კუბოს ყვავილებით მორთულ საკაცეთი გამოასვენებენ მწერლები და მეგობრები ქვაშვეთის ეზოში ბ. ივ. გომართელი წარმოსთქვამს სიტყვას.

ამის შემდეგ პროცესია გაემართება გოლოვინის პროსპექტით ვერის დაღმართისაკენ.

სახალხო სახლთან გარდახდილ იქნება მცირე პანაშვიდი.

აქაც წარმოითქმის ერთი სიტყვა.

შემდეგ პროცესია მიხეილის ქუჩით გაემართება.

სამხედრო სასწავლებელთან დაჰხვდება მთ. კ. ჩუტკერაშვილის გუნდი. აქაც მცირე პანაშვიდს გარდაიხდიან, რის შემდეგაც მგოსანს პირდაპირ დიდუბეში წაასვენებენ.

პანთეონთან გადაიხდიან მცირე პანაშვიდს. საფლავში ჩასვენებამდე სამი სიტყვა წარმოითქმის. მგოსნის საფლავში ჩასვენების შემდეგაც სიტყვები წარმოითქმის.

**გვირგვინი მხოლოდ ერთი იქნება წარწერით: მშრომელთა მგოსანს ევდოშვილს—ქართველ ხალხისგან.**

ქვაშვეთის ეკლესიიდან მგოსანს მუშები წამოასვენებენ. ჭიათურის, ქუთაისის, თბილისის და სხ. მუშათა წარმომადგენლებიც სიტყვებს წარმოსთქვამენ.

სიტყვა ათი წუთი მეტი არ უნდა გაგრძელდეს.

არჩეულია საგანგებო კომისია, რორომელშიაც არიან: ქ-ნი ნ. ნაკაშიძე, ვ. გუნია, ალ. შანშიაშვილი და რ. ბებიაშვილი. ამათთან უნდა ჩაეწერნენ ვისაც ჰსურთ სიტყვის წარმოთქმა. ჩაწერა შეიძლება მგოსნის დაკრძალვის დღეს ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში.

—

დღემდე დამკრძალავმა ბიურომ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი:

| | |
|---|---|
| ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისგან | 100 მ. |
| „სახალხო ფურც.“ რედაქ. | 100 „ |
| საისტორიო ⅾ საეთნ. საზოგად. | 50 „ |
| „ნაკადულის“ რედაქციისაგან. | 50 „ |
| კავკ. ქალთა საზ. ქართვ. სექც. | 50 „ |
| „მეურნესაგან“. | 30 „ |
| თელავ. შემნახვ.-გამსესხ. ამხ. | 25 „ |
| აბ. აბ. კალატოზიშვილისაგან. | 3 „ |

შემოწირულებანი მიიღება ივ. ნიკ. ზედგინიძის სახელზე: თბილისი, კოოპერატივი „მეურნე“, ძველი სემინარიის შენობა.

—

**მგოსან ირ. ევდოშვილის დაკრძალვაზე დასასწრებლად განსაკუთრებული ნიშნები არ იქნება. ნიშნები ექნებათ მხოლოდ დამკრძალავ ბიუროს წევრებს და მოწესრიგეთ.**

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** გულის სიღრმემდე შეგვაძრწუნა წამებულ პოეტ იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების ამბავმა. მთელი მისი სიცოცხლე გამუდმებული ტანჯვა იყო. მოსკოვის ქართველი საზოგადოება თავის მწუხარების ხმას უერთებს მშობლიურ ერს სამშობლოს ახალ აუნაზღაურებელ მსხვერპლის გამო.

მოსკოვის ქართველ საზოგადოების თავმჯდომარე **არაყჩიშვილი.**

—

**ᲤᲐᲡᲐᲜᲐᲣᲠᲘ.** ჩვენი ცრემლებიც შეუერთეთ სამშობლოს ცრემლთა ნაკადს იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების გამო.

**ელიზაბედ იაგულაშვილისა. ოლღა ბერულაია, თ-დი ჩიჯავაძე, მღ. კავკასიძე, ბეითალი კოსლაძე, სტუდენტი კორინთელი.**

—

**ᲬᲐᲚᲕᲔᲠᲘ.** გულის სიღრმემდე შეგვაძრწუნა ტანჯული მგოსან ევდოშვილის გარდაცვალებამ. მშობლიურ ერის დიადს მწუხარებას ჩვენს ულრმეს წუხილს ვუერთებთ.

**წალვერის საზოგადოება**

—

**ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.** თქვენთან ერთად, გულშემუსვრილნი, მუხლს ვიდრეკ პოეტმოქალაქის ცხედრის წინაშე, რომელიც სამშობლოს წმინდა უფლებათა მოსარჩლე იყო. დადუმდა ჩანგი ევდოშვილისა, მისი მძლავრი გამოძახილი მოგიწოდებს შენ, საქართველო, მომავალ ბედნიერებისა და სიცოცხლისაკენ.

**იოსებ მაჭავარიანი.**

—

**ᲡᲝᲮᲣᲛᲘ,** მშრომელი ხალხის წკრიალა ჩანგის მპყრობელ იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალებას მთელის ჩვენის არსებით დავსტირით.

**იასონ თურქია, ივანე პატარაია, რაუდენ ჩხარტიშვილი, პროკოფი გუჯაბიძე, ძუკუ ლოლუა, მიხეილ გეგეჭკორი.**

# ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

**თბილისი.** თბილისის ქართული გიმნაზიის მე-5 კლასის მოწაფეები ვგლოვობთ ჩვენი სასიქადულო მგოსნის იროდიონ ევდოშვილის უდროვოდ დაკარგვას და მუხლს ვიდრეკთ მისი ნეშთის წინაშე.

ამხანაგების მონდობილობით **ა. დანელია დ. ნიჟარაძე.**

**გორი.** 4 აპრილს, საღამოს 6 საათზედ გორის საკრებულო ტაძარში არქიმანდრიტმა იოანემ პანაშვიდი გადაიხადა გარდაცვალებულ მგოსან იროდიონ ევდოშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე აუარებელი ხალხი დაესწრო.

— დღეს, ქ. გორში ევდოშვილის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი საკრებულო ტაძარში.

— უწყალო ბედი სასტიკად გვსჯის, კიდევ გასწყვიტა სიმი ჩანგისა. მოგვტაცა საყვარელი მგოსანი იროდიონი, მაგრამ მისი ლექსები, მისი სიკვდილის შემდეგაც გაგვამხნევებს და ღირსეულს შვილს სასოებით მოიგონებს თავისუფალი სამშობლო.

**გიორგი და პლატონ კოშორიძენი.**

**დაბლა საქარის** ვაჟა-ფშაველას სახელობის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობის მიერ 5 მაისს დილით ხუთშაბათს გადახდილ იქმნა პანაშვიდი პოეტ იროდიონ ევდოშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ დაესწრენ ადგილობრივი შკოლის მასწავლებელი, მოწაფეები და დიდძალი ხალხი. მღვდელმა ფილიმონ ბარბაქაძემ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა.

**ქ. თელავი.** ღრმად დაგვამწუხარა ნიჭიერ მწერლის ხალხის მესაიდუმლე იროდიონ ევდოშვილის უდროვოდ გარდაცვალებამ. უერთებთ ჩვენ მწუხარებას ქართველ ერის გლოვას.

თელავის ქართველ ვაჭრების მინდობილობით **რომან კურდღელაშვილი.**

—

ჩვენც, პატარა ერის პატარა შვილნი, ძაძით შემოსილნი, მუხლს ვიყრით ძვირფასი მგოსნის ცხედრის წინაშე, დავსტირით მას...

თბ. კულ. ტეხნიკ. სასწ. ქართველ მოწაფეთა მონდობილობით

**ჰიდრო ტეხნიკი.**

„იროდიონი ნაპერწკალი იყო: ზოგს სწვავდა, ზოგს ათბობდა, ზოგსა ჰკლავდა, ზოგს აცოცხლებდა, ზოგს გულს უგმირავდა, ზოგს კი იმედის სხივებად ეფინებოდა“. (თ. ც.)

**ივ. გომართელი.**

—

მწარე ცრემლებით დავსტირი ჩვენი ბედკრული ერის სიამაყის მგოსნის იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალებას.

შენ მოჰკვდი, მაგრამ შენი ღვთიური სახე, სახელი, და შემოქმედება უკვდავი იქნებიან ჭეშმარიტ ქართველ მუშათა გულში.

**მიხეილ ლომთაძე.**

—

მგოსან იროდიონ ევდოშვილის უდროვოდ დაკარგვის გამო ქართველ ერის საერთო წუხილს ვუერთებ ჩემს გულწრფელ ცრემლებს და ვსტირი, რომ ქართველ ერს მოაკლდა კიდევ ერთი სამშობლოს გულის სიმების მღერავი, მისი ერთგული მანუგეშებელი და მტრის შეუპოვარი მპუსვრელი. მის მიერ აღგზნებული ლამპარი იგიზგიზებს იმ დრომდის, სანამ არსებობს ქართველი ერი.

**გ. შალიბაშვილი.**

—

**მგალობელთა გუნდები.** განსვენებულ ირ. ევდოშვილის პატივსაცემად შემდეგ გუნდებმა განაცხადეს მონაწილეობის მიღება: 1) ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისამ, 2) ი. ბედიაშვილის (რუსპირელის) გუნდმა ქულაჯებში, 3) ნ. მაისურაძისამ, 4) ი. გოძიაშვილისამ, 5) კ. ჩარკვიანისამ და 6) ხაშმელ გლეხებისა გიორგი ებიტაშვილის ლოტბარობით და სხ.

—

დამგლოვიარებულ საქართველოსთან და ძაძით მოსილ ამაყ ქიზიყის მთებთან ერთად ვიზიარებთ ძვირფას მგოსან იროდიონის უდროვოდ გარდაცვალებას და შევძახით ჩვენს შავ ბედს: ბედო, შავ-ბედო, როდემდის უნდა გვაცრემლო ჩვენ რჩეულ შვილთა სიკვდილით!

სამძიმარს ვუთვლით მის დაობლებულ ოჯახს და გვირგვინის ნაცვლად გაახლებთ 73 მანეთს მისი ოჯახობის გადასაცემად.*)

მონდობილობით **ნ. ჭრელაშვილი.**

*) შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამ იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების გამო. სასოწარკვეთილებას სრულიადაც არ ვეძლევი, ვინაიდან იროდიონმა თვისი სპეტაკი იდეალებით და საქმით თვით სიკვდილიც კი დასთრგუნა და თვისი სახელი უკუნითი უკუნისამდე უკვდავ ჰყო უკვდავ საქართველოში.

თბილისის უმაღლეს კურსების მსმენელთა თანამოაზრე ჯგუფის მონდობილობით

**ნინო გ. ვეშაპიძე.**

—

ჩვენ მხოლოდ ამას ვამბობთ:

ვიღა გვიმღერებს ფოლადის ლექსით, ვიღა უმღერებს დანგრეულს საქართველოს, ვიღა მოგვასმენს რომ... შენს აკვანს, შენს გამზრდელ საქართველოს ირგვლივ მტერი მოსწოლია, რომ დალუპოს დაანელოს!.

შენც ჩვენს კედლებში აღიზარდე, ძვირფასო იროდიონ და პირობას გაძლევთ, რომ შენი სიტყვები სალამურის თვლებივით გვექნება გულში ამოჭრილი... და ვეცდებით რომ ვიპოვოთ შენგან დაკარგული სამშობლო!..

**თბილელი სემინარიელები.**

## ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

**ირ. ევდოშვილის** ოჯახის სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო: ბ-ნ ნ. ჭრელაშვილისაგან 10 მან.

—

ძვირფას და დაუვიწყარ მეგობარ იროდიონ ევდოშვილის ცხედრის გვირგვინით შემკობის ნაცვლად გაახლებთ მისი დაობლებული ოჯახის სასარგებლოდ 10 მანათს.

**აგრაფინე, თამარ და ისაკო ალხანაშვილები.**

—

**ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ**

საჭიროდ ვრაცხთ შევასწოროთ ცნობა **ბ-ნ ბუკიას** შესახებ. მას ხელი ეწერა მხოლოდ 4 მაისის დანიშნულ კრების უწყებაზე, რომელზედაც დამკრძალავი ბიურო უნდა აერჩიათ.

—

**ნ. კურდღელაშვილის** წერილის ბოლო ასე უნდა თავდებოდეს: „ქართველმა ერმა რა ხანია გამოიტირა **თავისი უძლები** შვილები, მაგრამ იგი იმდენად სულგრძელია, რომ მათთვის არ დაიშურებს თითო პეშვ მიწას.

## ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ამბობენ, ბედნიერ ხალხს ისტორია არა აქვსო. ასევე ითქმის ბედნიერ პიროვნებათა შესახებ. სულ სხვაა უბედო ხალხი, უბედო პიროვნებანი. მათ შესახებ მწარე და ნაღვლიანი კილოთი იწერება მთელი ტომობით და და მთელი ტომობითვე დაიწერება საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ არა გვგონია როდისმე მაინც დასრულდეს ამოწურვა ამ უბედობის აღწერილობის, იმდენად დაუშრეტელია იგი, იმდენად დაუსრულებელია, როგორც თვით მარადისობა.

მარადისობას ზიარებული ირ. ევდოშვილი უთუოდ რომ უბედოთა რიცხვს ეკუთვნის. მრავალფეროვანი და დიდად საინტერესო მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლე, სიცოცხლე ტანჯვის ფერადებით შევარაყებული, რომლის გადაშლა-გადაფურცვლა მხოლოდ ერთს განცვიფრებას იწვევს მიუდგომელ მკითხველის თვალში, თუ ეს პიროვნება, ეს მწერალი, ასეთს პირობებში როგორღა ახერხებდა წერას, ან როგორ შესძლო ასე თამამად გაევლო მოკლე ხანში ჩვენს მწერლობაში გზა, სახელდობრ ეს ის გზა, რაიც ერთის კალმის მოსმით შეგვიძლიან დავახასიათოთ: **ტომას გუდიდან ბაირონამდე**!

ღარიბ ოჯახში დაბადებული (1873 წ.), არც ისე დიდ განათლება მიღებული, არა სისტემატიური წრთვნა და აღზრდა, ლუკმა პურისთვის მეტად ნაადრევად გამოსვლა ცხოვრების ასპარეზზე, დაუდგრომელი წყვეტება ცხოვრების კართა გასამტვრევად, ხან უბრალო მუშა, ხან მხედარი, ხან მოხელეც და ერთხელ ღვინის სარდაფის პატრონიც კი, თუ კი პატრონობა ეწოდება ნისიად მოტანილს ღვინოს ვაჭრობაში ჩაუხედველ ადამიანისთვის, რის გამოც მალე ისევ ჯიბე დაცარიელებული გავიდა ქუჩად,—აი მოკლედ უცნაური ნახტომი და არა ნაკლებ უცნაური ეტაპები მისი მშფოთარე ცხოვრების პირველი პერიოდისა!

უცნაურ ფერადებითვე აღიხატა მისი სამწერლო მოღვაწეობა. მცირე ხნით ილიასთან მუშაობდა „ივერიის“ რედაქციაში, შემდეგ „კვალში“ გადასვლა, დასელებთან ერთად აღჭურვა ახალის ფარხმლით, დაუცხრომელი ყიჟინა, ყიჟინა ბუნდოვან და გაურკვეველი ბრძოლისა, შემდეგ იძულებით შეჩერება სამწერლო მოღვაწეობისა ჯარში გაწვევის გამო (1904 წ.), დაბრუნება სამშობლოში, რევოლიუციის ფერხულში ჩაბმა, გაფოლადება მის აზრების, ცეცხლად აგზნება, ილიას მკვლელობის გამო საზარელი აღშფოთება, მისი სულიერი კატასტროფა, გასვლა დასელთა პარტიიდან, ბრძოლა ძველს მეგობრებთან, დაპატიმრება 1909 წ., რუსეთისკენ გასტუმრება და აქ ზიარება გაუკურნებელ სენ—ჭლექისა, ხოლო 1903 წელს პატიება და დამდნარი სხეულით სამშობლოში დაბრუნება, —აი მისი ცხოვრების მეორე პერიოდი, ეს ის წამების პერიოდია როდესაც დასრულდა ევდოშვილის ზრდა, როგორც მისივე სენი! რაც მოხდა შემდეგ, ვიცით, განმეორებად აღარა ჰღირს.

თუ საით უნდა გადახრილიყო ევდოშვილის სული და გული, საით აუშვებდა მგზნებარე შემოქმედების იალქნებს ასეთ ქუდბედ თანდაყოლილი პატარა იროდიონი, ადვილად შეიძლება გამოვიცნოთ, თუ გავიხსენებთ დროს მის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას, სახელდობრ ეს იმ დროს, როდესაც მთელი ჩვენი ახალი ცხოვრება დაიუფლა მარქს-ენგელსის მოძღვრებამ, როდესაც ძველი რწმენა, ძველი შეხედულობა, მწერლობა გაცამტვერდა, ვარყოფილ იქმნა, როდესაც წარსულს ზიზღით იხსენიებდნენ, დიდს მოღვაწეებს „ჩანგს ურცხვენდნენ“, როგორც ეს დაახასიათა იპ. ვართაგავამ, სამაგიეროდ გუნდრუკს უკმევდნენ პროლეტარიატს და გაბოგანოვებისაკენ მოუწოდებდნენ დიდსა და პატარას, რათა შეექმნათ ძლიერი ლაშქარი შავი მუშა ხელისა ვილასთანაც რაიღასთვისაც საბრძოლველად, ვამბობთ ვილასთანაც და რაღაცასთანაც, ვინაიდან ასეთი პროლეტარიატი, ასეთი კლასიური დაყოფვა-დარაზმვა, არსებობდა მარქს-ენგელსის თეორიაში და ნაკლები ადგილი ჰქონდა ჩვენს ცხოვრების სინამდვილეში.

იროდიონის პირველი პერიოდის პოეზია პროგრამულია, განსაზღვრული. სულით დაჯგულით ზიარებული ახალს მიმართულებას, იგი ქარიშხლის ფრთებით იგზნება. პირველ ლექსებშივე აღნიშნავს ორ ბანაკად, ორ კატეგორიად გაიყოფვას, „ბედნიერებად“ და „უბედურებად“.

„შენ კედელს შიგნით ტკბილად ჰღიღინებ,
კედელს გარედამ ბანს გაძლევს კვნესა“.

ეუბნება მგოსანი ზოგიერთ ბედნიერ მეგობრებს. იგი უაღრესად აღშფოთებულია, რომ მუშა, მის მზგავსად ამ ქვეყნად წამებისთვის დაბადებული უმწეოდ დამდგარა ფანჯრის წინ და მდიდრის ქულაჯის ყურებით გატაცებულა, ეს იმ ქულაჯის ყურებით, რომელიც თვითონვე „შეჰქმნა“, მაგრამ „რაღაცა მანქანებით“ მას „კი არ დარჩა“. „რად ხდება ასე?“—აი მგოსნის საძიებელი, აი რა საკით ხის გარკვევას ანდომებს მგოსანი. მთელი ცხოვრება მას წარმოუდგა „გუბედ“, სადაც ათასი ლექი, მწიკვლი, წუმპე-ტალახი დაგროვებულა. მგოსანმა კიდეც განსჭვრიტა ოცნების თვალით საიდეალო ხანა, როდესაც გუბის ნაპირები ველარ იტევენ ამდენ შმორსა და გადამსქდარი „პირში მიაყრის“ მთელს მიდამოს, რაც რამ „მიელოგუბეს მისგანა“. ტანჯულთა მაყურალს. ამდენ სვავ-ყორნების მზირალს ⅾ კვნესა-ვაების მსმენელს მგოსანს როდიღა ჰსურს ტკბილი ჰანგები მოისმინოს

მუსიკისა, რომელიც სულს იწვევს „აჰყვავებულ ოცნების მხარეს“, მტირალს მგოსანს ჰსურს, რომ მუსიკაც ცრემლად ათოვდეს, სამგლოვიარო ზარით მოჰყვეს ბგერას, ვინაიდან საცაოდ ვერ აიზნების სული, ოდესაც ქვეყნად ამდენი უსამართლოების მოყვარულია იგი.

აი, პატარა და ცქრიალა სურათი, სევდის ფერადებით მოქსოვილი. უქმე დღეა. ძვირფასად დართულნი ქვაფენილზე ლაღად დაიარებიან. იქვე პატარა ფეხშიშველა ბიჭი ჰყიდის იას. მას ყურადღებას როდის-როდის მიაქცევენ რაღაც „ხუთ გროშიანს“ აძლევენ ამ „გაზაფხულის მახარობელ“ თაიგულისთვის. ნეტავ

„შენ ვინღა მოგილოცავს სხვა გვარ გაზაფხულს,
ვინ გაგაგონებს: „აიმართა სიმართლის დროშა?„

კვნესით შეჰნიშნავს მგოსანი და ყისვე ახალ ფორმულას იძლევა ცხოვრებისას:

„შრომა... ოფლის ღვრა... სიღარიბე... ძუნწი ცხოვრება ..
და ჩემს გარშემოც ჩემებრივი უბედურთ კრება...
უსიხარულოდ დალეულნი წარსულნი დღენი,
და მომავალიც უიმედო, ნაღვლად მჩენი...
ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ ტანჯვას არ აქვს საზღვარი?“—

მგოსანი არ სცნობს ძველ რომანტიკოსთა კვნესას. მისი ჩანგი არ იცის წარსულის სადიდებლად, ეს იმ წარსულის სადიდებლსდ, რაც ჩვენს მგოსანთა პოეზიის ქვაკუთხედს შეადგენდა.

„წარსული სიტკბო, მითხარ, რაა აწმყოსათვინა?“

არაფერი! თუ რამეა, ისევ აწმყო, მოშხამული ატმოსფერა, რომელიც და განიწმინდოს. ამისთვის კი საჭიროა გამოჩნდეს გმირი „ბაალის შემუსრავად“, ამ დროინდელი ევდოშვილი ჩვენი პოეზიის ტომას გუდია. და, მეტად მარტივი ალმხატველი მუშათა ცხოვრებისა, შვოსანი ტომას გუდის გრძნეულებით ჯადოსნობს. ენა „ქუჩაზე“, ანუ „განკიცხული“, დაც სარდაფში მოწანწალე უბედური ქალი „უსირცხვოდ თვალებს აშუბდა გამვლელ გამომვლელს“, მეტად ცნობი ჰანგებია ტომას გუდისა. მგოსანი ხშირად თვით ლექსთა წყობასაც კი სცდილობს მიჰბაძოს მასწავლებელს. აიღეთ მისი „სიმღერა თ-აწმყობისა“ და ტომას გუდის „სიმღერა მკერვალი ქალისა“, რომელიც ასე მშვენივრად გვითარგმნა ითონვე ჩვენმა მგოსანმა.

„ჩვენ სულ ვაწყობთ ჭრაწანეთზე,
ზაწაწინა ლითონ-რკინას,
ზოგი აქეთ, ზოგი იქით,
ზოგი კიდევ განაპირას
არჩიე, რიგზე დადე.
აკეთე რკინის ბადე...
ასე ვაწყობთ ერთმანეთზე,
ზაწაწინა ლითონ რკინას“ და სხვა.

ტომას გუდის ჰანგთა შეწყობავითარება ნადსონითა და ლერმონტვით თავდება. ნადსონი იმ დროს, დესაც პესსიმიზმის სახატად ნაღვე ფერადები სჭირდება, ხოლო ლერმონტოვი მაშინ, როცა ბრძოლის ქახალი გაიტაცებს, ამაყი, ქედმოული სული ხვდება:

„ვფიცავ სიმართლეს უარყოფილსა...
ღირსთ ხელითგან დასჯილს, გმობილსა...
ვფიცავ მის დროშას შეურაცყოფილს...
ვფიცავ მოსარჩლეთ მეომართ დასსა...
**უკანასკნელ დღეს განჩინებისას...**
ვფიცავ მის სასტიკ მართლმსაჯულებას“... ღ სხ.

ოიც დემონის ფიცის არიას დიდად გავს, იმ განსხვავებით, რომ იქ, კის აპოთეოზი თამარისადმი სიყვარულია, ხოლო აქ „უკუღმართ სოფლის ბრძოლა და ბრძოლა...“

მგოსანი ევდოშვილი უფრო, ვიდრე ად გამოსული ბაირახტარნი მარქსიზმის მოძღვრებისა, პოპულიარი ბა მუშათა შორის. მან უფრო, რე მშრალ პუბლიცისტებმა, გზა კაფა ახალ მოძღვრების შემოტანას, ოშვილმა უფრო, ვიდრე ილიამ, იმ თუ ორბელიანმა და თვით ნიმვილმაც კი მკაფიოდ, ფოტოგრაფიულ სისწორით გადმოგვცა უბედური და გაწამებულ მუშათა ტანჯული ს პროფილი; იგი თუ გნებავთ გვარ „მარსელიეზას“ უწერს ჩვენს მუშებს, რასაც ყოველ კუთხეში მიმღერდნენ მოძრაობის დროს:

„მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
უ შედრკება თქვენი გული,
ე, მკერდს სისხლის ღვარი აჩნდეს
ა შუბლს ოფლის ნაკადული!
წინ, წინ! მედგრად შევებრძოლოთ
არხ უკუღმართ ამ ჩვენს დროსა,
ირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა...“

(დასასრული იქნება)

## დ ღ ე ს...

დღეს მოვისხლეტთ ცრემლებს და ჩვენი თვალები უკანასკნელად გააცილებენ შენს კუბოს...

მერე... მე გავყვები შენ სიმღერებს და შენივე სევდით დავაგვირგვინებ ჩემს გრძნობას...

მე ჩავიკეტები შენი სევდის სენაკში და დიდხანს, დიდხანს ვიგლოვებ საქართველოს ჩაჩქან-გვირგვინებს...

ქარი წაიღებს ჩემს ფიქრებს და ღრუბლებად გაჰშლის ღამიან კოლხიდაში.

იტირე, ჩემო საქართველო, იტირე. „როგორ შეგშვენის ეგ ტირილი—მეფურ კაეშნით, იტირე მწარედ“...

იტირე... მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰკრეკს ზარები შუაღამისა, ცისკრად კი მოგვევლინებით შენნი რჩეულნი და ამომავალ მზის სხივებით მოგიქსოვთ დიდების დროშას.

იტირე... იტირე რათა განწმენდილი შეჰხვდე დაგვირგვინებას...

იტირე! დღეს შენი სალამური გადატყდა და მისი ცრემლებიც დაე შენს შავს წამწამებზე ჩამოგორდეს...

იტირე შავ-მანდილიანო დედოფალო, შენ ხომ ცრემლებით ლაპარაკობ და ეგ ლამაზი მკერდიც აკლდამად გარდაგქცევია.. მაგრამ.. იცოდე საჟამე სცემს.. წუთი არა ჩერდება.. იგი მიჰქრის შენი კვნესით შემოსილი და აღარ დაბრუნდება არასოდეს.. ღამე განახევრებულია გესმის? საჟამე კი სცემს.. ის ხომ სამარეა—ჟამისა.. შენი კვნესაც საჟამის ცემას მისდევს ლამაზო დედოფალო და ნურც დაგიბრუნდება ნურასოდეს...

ან კი, რაღა გაქვს საკვნესი. განა მარტო ხარ დედაო, ჩვენო! ჩვენც შენთანა ვართ და განა ეხლა?—არა ყოველთვის შენთან ვიყავით შენს ფერხთა ქვეშე დაჭრილნი და დაკოდილნი ვუსმენდით შენს მეფურს კვნესას და ხმას ვერა გცემდით დედოფალს, გვეშინოდა შენი კვნესა ცეცხლად არ გადაქცეულიყო.. და თან სულს, გვიწამლავდა დაფხრეწილ დროშის შრიალი... და აი, ეხლაც მოგვესმა შენი ტირილი და ეს მგონი შენი ცრემლების მეასე სიმღერაა.. მაგრამ.. არ მავიწყდება რომ...

საჟამე სცემს... და ჩვენ მივალთ ბედის მჭედელთან. ვეტყვით ქოველივეს და ახალ მახვილებსა შეუკვეთავთ, რათა მოვიპოვოთ ის, რაცა გვწყურია...

შენ კი, მოემზადე, დედაო ჩვენო! გულისპირი მოიოქრომკედიანე. საჟამე აღარ იბრალებს დროს, მალე ჰსურს შენი დაგვირგვინება...

მაშინ მოგვესმება შენი მეფური სიტყვა და მზე გაგიძღვება სავალ გზაზედ.. მაშინ ყველანი შენთან შევიკრიბებით—შენთან... და ისიც... ისიც დღეს რომ ჩამოჰკნარა,—მოვა შენთან და გეტყვის:

— „მე მხოლოდ მეძინა იქ... მე მხოლოდ მეძინა ტბის წიაღში... გულის კუბოში,.. ყვავილებთან... და ეხლა კვლავ აღვსდეგ... აღვსდეგ რომ კვლავ შენთან მოვიდე, გაზაფხულმა დამიძახა... გესმის, გაზაფხულმა!

ასე გეტყვის ის, დედოფალო!..

გოგლა ლეონიძე.

## ჩვენი იროდიონი

ტურფა საქართველომ თავის ტურფა და ფაქიზი შვილი იროდიონ ევდოშვილი დაკარგა.

ჩვენს მგოსნებ შორის, არც ერთს მგოსანს, სამშობლოს სიყვარულისათვის, გარეშე ძალისაგან, იმდენი სიმწარე არ უნახავს რამდენიც იროდიონმა ნახა. დიდებული, მოამაგე ადამიანების უდროვო სიკვდილი ხშირად ხვედრია ჩვენი სამშობლოსი, მაგრამ ასე ზედიზედ რჩეული ადამიანების დაკარგვა კაი ხანია რაც რომ ჩვენ ქვეყანას არ განუცდია. განგება გვცდის და ჩვენი ეროვნული შერყეული რწმენა ჭეშმარიტ გზაზედ უნდა დააყენოს. ამ ეროვნულმა ურწმუნოებამ გული დაუკოდა, ჩვენს საყვარელ მგოსანს. მაგრამ რჩეული ადამიანი ყველაფერს იტანს და იროდიონმაც სულგრძელად აიტანა მიყენებული უსიამოვნება. რითი უნდა ავინაზღაუროთ ეს დიდი უბედურება? მხოლოდ საქართველოს სიყვარულით. შევვერთდეთ ყველანი და ის დავისახოთ იდეალათ, რაც იროდიონ ევდოშვილს ასულდგმულებდა. შეერთებული ძალა, განახორციელებს იმას რისთვისაც ჩვენი ტკბილი მგოსანი იტანჯებოდა. ჰმუნვა და ნწუხარება ვერას გვიშველის. გამხნევება და გაორკეცებული ენერგია მიგვიყვანს აღთქმის ქვეყანასთან, რომლის დანახვას, ჩვენი მრავალტანჯული მგოსანი ვერ მოესწრო. ქართველ მოღვაწეთათანა განისვენოს ჩვენთვის ზვარაკად შეწირულმა მგოსანმა.

მ. ბუაჩიძე.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი**. 6 მაისი. ოფიციალი. სადგურ კრემენცის ჩრდილო-დასავლეთით აღმოვაჩინეთ ავსტრიელთა სანაღმოსნო მუშაობა და მოულოდნელად შევიჭერით მათ თხრილებში. ავსტრიელები გაიქცნენ. მოპირდაპირე შეეცადა თხრილების დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ ჩაუარა. გალიციაში ტოპოროვიცეს ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა მტრის მავთულიან სიმაგრის ნაწილი გაანადგურეს.

—

**პარიზი**, 5 მაისი. დღის ოფიციალი ცნობა. უაზის და სემის შუა გერმანელების მზვერავთა რაზმი ვენოვერთან ჩვენი ჯარის დაზვერას სცდილობდა, მაგრამ კონტრ-იერიშით უკან დავახევინეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, გერმანელები სცდილობდნენ რედუტის აღებას ავოკურის ტყეში. „287“ სიმაღლის ჩრდილოეთიდან, მტრის თხრილებს თავს დავესხით და მცველები ამოვხოცეთ. ამავე დროს, ხელთ ვიგდეთ მტრის პატარა სადარაჯო „304“ სიმაღლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მაასის მარჯვენა ნაპირზე ვევრში, საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ჩვენმა მფრინავებმა ბლომა ყუმბარები ჩამოჰყარეს.

საღამოს ოფიციალი ცნობა. ენის ჩრდილოეთით ჩვენ გავფანტეთ გერმანელთა მზვერავების ჯგუფი, რომელიც უახლოვდებოდა ჩვენს თხრილებს ნუვრონის ჩრდილოეთით. მაასის მარცხენა ნაპირზე, საღამოს 5 ს., საშინელ ბრძოლის შემდეგ, მტერი შეეცადა წინ წამოსვლას. მაგრამ ცეცხლის მფრქვევლებით უკან დავახევინეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლამ ეპარჟთან მძიმე ხასიათი მიიღო. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში არსებითი არა მომხდარა-რა.

**ჰავრი**, 5 მაისი. ბელგეთის ცნობა. გუშინღამ, საშინელ საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, მტერმა იერიში მოიტანა იზერის მარცხენა ნაპირის სადარაჯოზე, მაგრამ ჩვენმა ქვეითის და არტილერიის ცეცხლმა მალე შეაჩერა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსი დეპუტატები და ასკვიტი**

„Times“-ი ეხება ასკვიტის სიტყვას, რომელიც რუს დეპუტატთა წინაშე წარმოსთქვა და შეეხო რუსეთ-ინგლისის შეთანხმებას აღმოსავლეთ საკითხში. იგი სწერს: ასკვიტის სიტყვამ დაგვარწმუნა, რომ ამ ორ სასახელმწიფოთა შორის სრული შეთანხმება მოხდა, რასაც რუსი ხალხის სურვილის განხორციელება მოჰყვება. რუსეთ-ინგლისის შეთანხმებას აღმოსავლეთ საკითხში მოჰყვება არა მხოლოდ მკვიდრი ზავი ევროპაში, არამედ იაპონიასთან კავშირის შეკვრით თვით აზიაშიც დამყარდება ზავი. ამავე აზრს გაზეთი „Dailu Telegraph“-იც გამოსთქვამს.

**გერმანეთი და ამერიკა**

ბერნის კორესპონდენტი ატყობინებს ლონდონის სააგენტოს „Virelles Press“ ბეტმან-ჰოლვეგის სიტყვას, რომელიც რეიხსტაგის დახურულ კრებაზე წარმოსთქვა. კანცლერმა განაცხადა: ომის დაწყებისათანავე აღვნიშნე, რომ სანტიმენტალობა და პოლიტიკა ერთად ვერ მოთავსდება. ესევე შეგვიძლიან ვთქვათ ეხლაც. ამერიკის ნოტა ჩვენ ეროვნულ გრძნობას ამცირებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გონებით უნდა ვიმოქმედოთ! მთავრობამ ყველაფერი ასწონ-დასწონა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამერიკას შეკითხვაზე უარი ვერ უთხრა. წყალ-ქვეშა ომს მეტი ღირებულება მივეცით. თუმცა მტერს ზიანს ვაყენებთ, მაგრამ ამით მტერს ვერ შევმუსრავთ. ამისათვის ჩვენ წყალქვეშა ომის შესუსტება ვამჯობინეთ ამერიკასთან ომში ჩარევას. ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული გავხდით დავაკმაყოფილოთ ამერიკის მოთხოვნილება.

კანცლერის სიტყვა 25 წუთს გაგრძელდა.

**ირლანდიის საქმე**

ლონდონიდან იტყობინებიან: დილონმა ხელ ახლად აღძრა თემთა პალატაში ირლანდიაში მეამბოხეთა დასჯის საკითხი და მოითხოვს ჟურნალისტ სკერინგტონის საქმე, რომელიც განაჩენის დადგენილებით დახვრიტეს, [illegible]

მთავრობის სასტიკმა ზომებმა: სიკვდილით სასჯელმა, დაპატიმრებამ და ჩხრეკა ძიებამ ირლანდიელთა განწყობილება შესცვალა. ასკვიტმა განაცხადა: სიკვდილით სულ 13 კაცი დაისაჯა. ყველა ამათ ხელი ეწერათ დროებით მთავრობის მანიფესტზე და რევოლიუციონურ კომიტეტის წევრებად ირიცხებოდნენ. ასკვიტმა განაცხადა აგრეთვე: დანარჩენ მეამბოხეთა საქმის გარჩევა საზოგადოების თანადასწრებით მოხდებაო.

**წყალდიდობა შვეცია-ნორვეგიაში**

მორიდან მოსულის ცნობით, მოლასნეს ოლქში დიდი წყალ-დიდობა ყოფილა. განძვინებულ სტიქიონის რისხვას ვერაფერი ვერ გადურჩა და ნიაღვარმა იმსხვერპლა სოფლები, მინდვრები, რკინის გზები და სხ. მცხოვრებლებმა მაღალ ადგილებს მიაშურეს. ზარალი აუწერელია. ზალუნაში, წინანდელ ბაზრის ადგილას, ეხლა ნავებით დადიან. სტოკჰოლმში, ქალაქს ძლიერი ქარ-ბუქი განადგურებას უქადის.

## ბრძოლის ველზე

თუ რამ ყურადღებას იპყრობს დღეს დღეობით ბრძოლის ველი, ეს ისევ იტალეთის მხრით. დღიდან ომის გამოცხადებისა იტალეთი ყოველ ინტერესს მოკლებული იყო. მოსულ ცნობებს ხშირად გამოქვეყნების ღირსადაც არც კი სცნობდნენ. იტალეთისა არავის არა სჯეროდარა. თვით მოკავშირეთაგან არა ერთხელ გაისმა უკმაყოფილების ხმა. მაგრამ ეხლა სურათი იცვლება. ავსტრიელთ აგერ ორი მაისიდან მოულოდნელი გაშმაგებული იერიშები მიაქვთ. იზონცოს ღელე, ლედროს ველი, ლაგარინო თუ სხვა რამ საარტილერიო ცეცხლში გაახვიეს ავსტრიელებმა და საკმაოდ წინ წაიწიეს. იტალიელთ კონტრიერიშები მიაქვთ, თუმცა დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე წყება თხრილების დაბრუნება მოახერხეს.

კავკასიის ასპარეზიდან ლაკონიური ცნობაა: თითქმის ყოველ მხრით პატარ-პატარა შეტაკება ხდება მოწინავე რაზმებისაო. ეს შეტაკებანი, რა თქმა უნდა, ერთგვარი პრელიუდიაა ამ ახლო მომავალში დიდი ომების დასაწყისისა. უმთავრესი ასპარეზი, საიდანაც მოისმის ოსმალთა მუქარის ხმა, გახლავთ აშკალა-ბაიბურთ-ერზინჯან-ხარპუტის მიმართულება. აქ ოსმალთა ცენტრი დიდათ გამაგრებულია და ნელ-ნელა ავსებენ ახალ-ახალი ჯარებით. მიზანი ცხადია: გაარღვიონ ცენტრი რუსთა ჯარებისა, მოსწყვიტონ აზრუმი, რუსთა ჯარების მთავარი სადგომი და ერთი ერთმანეთს დააშორონ აქეთ-იქით წასული ჯარები.

მღელვარება და ნერვიული მდგომარეობაა რუსეთის ყველა ასპარეზზე. მღელვარებას იწვევს გამოურკვევლობა, თუ სახელდობრ სად რას აპირებენ გერმანელები. ყველა დაჯერებული იყო, რომ გერმანელთ რიგა-დვინსკი ჰქონდათ ამონიშნული, მაგრამ რაც „ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველმა რეპინგტონმა გამოაქვეყნა ჯართა მდგომარეობის ვითარება, ყველამ აზრი შეიცვალა და ახლა სულ სხვაფრივ ჰფიქრობენ. საზოგადოდ გარკვეული არა არის-რა და სინამდვილეც მაშინ გამოირკვევა, როდესად თვითონ გერმანელები ამოიღებენ ხმას.

X.

## დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**ასკვიტის მეცადინეობა, ულცერელების და ირლანდიელ ნაციონალისტების შეთანხმების თაობაზე ეროვნულ მთავრობის შესადგენად უნაყოფოდ დარჩა.**

—

**არსდება საიმპერიო კომისია ირლანდიის საკითხის მოსაგვარებლად.**

—

**შუმსკი „ბ. ვ.“-ში სწერს: დასავლეთ ასპარეზზე სიწყნარეს იმას აწერენ, რომ გერმანელებს ჯერ არ გადაუყვანიათ დიდძალი ჯარი.**

—

**სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ, რომ მთავრობამ გადაჭრით უარი განაცხადა სომეხთა ყრილობის ერთი კვირით გადადებაზე. ყრილობის მიერ განსახილველი საკითხები მთავრობამ მხოლოდ გამოქცეულთა საკითხით განსაზღვრა. მილიუკოვი, თუმცა იმედი ჰქონდათ, მაგრამ ყრილობას ვეღარ მოუსწრებს.**

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნს ედუარდ გრეის ზავის პირობების შესახებ უთქვამს: შეუძლებელია, რომ გერმანია უწინდელს საზღრებში დარჩეს, აღიარებულ უნდა იქნას პრინციპი თავისუფალის ევროპისა, გერმანიამ მოკავშირეთ ზარალი უნდა აუნაზღაუროსო. ინგლისი ისწრაფვის გერმანელთა ოცნების გასანადგურებლად და დემოკრატიულის რეჟიმის დასამყარებლადაო.

—

დღეს დაიწყო სინოდის სხდომა მიტროპოლიტ ვლადიმირის თავმჯდომარეობით. განიხილავენ საკითხს სამიტროპოლიტოთა დაარსების შესახებ. პროექტით განზრახულია რვა სამიტროპოლიტოს დაარსება, მერვე—საქართველოს სამიტროპოლიტო იქნება. მიღებისათანავე პროექტს პირდაპირ მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს წარუდგენენ, საკანონმდებლო დაწესებულებათა განუხილველათ.

ლ. ჯ.

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

**კავკასიის ასპარეზზე ოსმალების ჯარის მთავარ სარდლად დაინიშნა გენერალი ენვერ-ფაშა.**

—

**ოსმალეთის ასპარეზზე დიარბექირის მიმართულებით მტრის ბანაკში გერმანელები შეუმჩნევიათ.**

—

**იტალიის ასპარეზზე ავსტრიელთა შეტევას იტალიელთა შესუსტება ჰქონია მიზნად, რათა ყოველგვარი დაბრკოლება თავიდან მოიშორონ და სხვა ასპარეზზე დაიწყონ შეტევა.**

—

**ტრაპიზონს გაემგზავრა არქეოლოგთა ექსპედიცია.**

—

**სახელმწიფო საგლეხო ბანკის, სახელმწიფო სააზნაურო საადგილმამულო ბანკის და წვრილი კრედიტის მთავარ გამგეობის ნაცვლად არსდება სახელმწიფო სახოფლო-სამეურნეო ბანკი.**

## თბილისი, 8 მაისი.

**ამიერ-კავკასიის ერობის წინაამდეგ.**

სომხობამ პირდაპირ შეუძლებელი მოისურვა. მას მადა აღეძრა ესარგებლნა მთავრობის განზრახვით: ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღებით ღ ესარგებლნა იმდენად მარჯვედ, რომ აქსაქართველოსთვის ჩამოეჭრა ერთი ორი მაზრა, იქ კიდევ სხვისთვის ღ ეს ჩამოჭრილი ნაწილები შეედუღებია მასიურად, რომ ამნაირად ერობის შემწეობით შეექმნა კავკასიის ერთი სომხეთი, სადაც სომხის კლერიკალური თვითმართველობა სომხის ეროვნულ მისწრაფებას განახორციელებდა. მარტივად რომ ვსთქვათ, ეს იყო ტერიტორიის ეროვნული მობილიზაციის გეგმაც და ერთგვარი „ავტონომიის“ მოპოვების გეგმაც.

ყველა ეს თავის თავად ძალიან სასარგებლოა სომხებისთვის, მაგრამ ამას არავითარი კავშირი არა აქვს ერობასთან, თავი რომ გავანებოთ იმ გარემოებას რომ არც ქართველობა დაჰყაბულდებოდა მამა-პაპეულ სამკვიდრებელის ჩამოჭრას და არც სხვა რომელიმე ეროვნება. ვინც ერობის გამოყენებას ამ თვალსაზრისით მოისურვებდა და ვინც ამ თვალსაზრისთან შეხამებულ საერობო პროექტის შემუშავებას მიზნად დაისახავდა, ის, ცხადია, სამუდამოდ დაასამარებდა ამიერკავკასიაში ერობის შემოღების საკითხს. კავკასიის მკვიდრთა დიდი უმრავლესობა, თათრობა, ქართველობა და რუსობა ერობას ასე პოლიტიკურეროვნულ მიზნებით არ ზომავდა; იგი ერობას უბრალო თვითმოქმედების საშუალებად სახავდა, რომელიც მცხოვრებთ ადმინისტრაციის უსაზღვრო ბატონობისაგან იხსნიდა და სამეურნეო და საკულტურო თვითსაქმიანობას შეაჩვევდა. ამ უმრავლესობის შეხედულება გამომდინარეობდა ერობის ბუნების სწორი გაგებისაგან და ძირიანად ეწინაამდეგებოდა სომხის უმცირესობის შეხედულებას. ამისთვისაც საერობო თათბირის პირველსავე სხდომაზედ ეს ორი შეხედულება ერთმანერთს დაეჯახა.

ამ შეჯახებაში სომხობა საშინლად დამარცხდა. რუსობა, ქართველობა და თათრობა, სულ 119 წევრი ერთად დაირაზმა და პირის-პირ წარსდგა რაღაც 24 სომხის წინაამდეგ. პირველ სხდომიდანვე აშკარა შეიქნა რომ სომეხთა შორეული მიზნისთვის ღდევანდელი საერობო თათბირი გამოსადეგი არ იქნებოდა. ამ დღიდან დაიწყო უმართებულო და ინსინუაციური კამპანია როგორც სომხური გაზეთებისა, აგრეთვე იმ რუსულ ადგილობრივ თუ სატახტო გაზეთებისა, რომელნიც სომეხთა ინტერესებს თვით სიმართლეზედ მაღლა აყენებენ. სომხის უმცირესობა გაიტაცა ერთადერმა ჟინმა, რომ ერობის შემოღება ამიერ კავკასიაში მაინც და მაინც ჩაშალონ. რადგან ასეა,—ერობა. ნურც იქმნებაო! არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რომ თბილისის საერობო თათბირს სახელი გაუტეხონ. ჯერ ისა სთქვეს, რომ თათბირის უმრავლესობა სიტყვის თავისუფლებას გვართმევს, ცენზურა შემოიღესო, მერე დაიჩემეს უკიდურესი რადიკალობა და ქართველ დემოკრატიის ქომაგად გამოვიდნენ. მერე კიდევ ისა, რომ უმრავლესობას საკანონმდებლო დაწესებულებათა გარეშე, 87 მუხლის ძალით სურს ერობის შემოღებაო. სომხებთან ხანგრძლივმა მეზობლობამ ჭკუა გვასწავლა და ჩვენთვის ძნელი არ იქნებოდა მათი თაღლითობის გამოაშკარავება. მაგრამ რუსული პრესა, რომელსაც არასდროს შრომა და გარჯა არ გაუწევია, რომ არა-რუსის ერების მდგომარეობა მიუდგომლად შესწავლა და საკუთარი დამოუკიდებელი აზრი შეედგინა, სხვა რომ არა იყოს რა, მარტოკა თავის კლასიკური უვიცობის წყალობით მსხვერპლი გახდებოდა მოქნილის და ხერხიანის ჩაგონებისა.

და აკი გახდნენ კიდეც! კადეტთა ცენტრალი ორგანო „რეჩი“ და რუსის ლიბერალების დიდად გავრცელებული ორგანო „რუსკია ვედომოსტი“ სომხის თვალით ხედვენ ღ სომხის ყურით ისმენენ. ისინი სომხებთან ერთად სახელს უტეხენ და ებრძვიან თბილისის საერობო თათბირს. რუსული პრესა და სომხობა ვრთად შეერთებული ებრძვიან ჩვენში იმ რეფორმის შემოღებას, რომელიც რამდენიმე ათეული წელიწადია რაც რუსეთში მოქმედობს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა აგერ ორმოცდა ათი წელიწადია თხოულობს და რომელსაც არ გვაძლევდენ იმიტომ, რომ ადმინისტრაციას არ სურდა ხელიდან გაცლოდა ჩვენს ქვეყანაზედ უსაზღვროდ ბატონობის უფლება. სომხობა და რუსული პრესა შეერთებულის ძალით სცდილობენ ადმინისტრაციის ეს ბატონობა ჩვენში რაც შეიძლება დღეგრძელი გახადონ. ერთსაც და მეორესაც თავის მადლობას ეტყვის კავკასიის მკვიდრთა უმრავლესობა, რომელსაც სული ამოსდის ადმინისტრაცის ბრჭყალებში, და რომელსაც ადმინისტრაციისაგან თავის განთავისუფლების საქმეში დღეს ხელს უცარავს „დემოკრატიული“ სომხობა და კადეტურ-ლიბერალური რუსეთი.

## ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს სადარბაზოდ წარუდგა დაღესტნის ოლქის უფროსი—პოლკ. თ-დი დადეშქალიანი, რომელიც მეფის ნაცვლის მიერ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

✦ **იაპონიის კონსული** ტომა ხირატო მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა.

✦ **სამთო გამგეობის** უფროსი მ. ი. ჩენგერი თბილისს დაბრუნდა.

✦ **თბ. კადეტთა კორპუსის** უფროსად დანიშნული გენ.-მ. დურნოვო თბილისს ჩამოვიდა და სამსახურის აღსრულებას შეუდგა.

✦ **ზუბალაშვილის ბიბლიოთეკა-სამკითხველოში** აპრილის განმავლობაში 7708 სული ყოფილა. შინ წაუღიათ 5816 წიგნი. სამკითხველოში წაუკითხავთ 1892 წიგნი. ახალი ხელის მომწერი ყოფილა 119, გასულა 171. პირველ მაისისთვს 1614 ხელის მომწერი ყოფილა.

✦ **კულტურულ-ტეხნიკური** სასწავლებელი შემოდგომიდან გადავა ძველი სემინარიის შენობიდან საკუთარ ბინაზე ალექსანდრეს და ფეიერვერკის ქუჩების კუთხეში.

— სწავლა ამ სასწავლებელში 1 თიბათვემდე გასტანს. შემდეგ მოწაფეები მიჰყავთ საპრაქტიკო სამუშაოზე „ნახშირგორაში“.

✦ **ორშაბათს, 9 მაისს** კუკიის ეკლესიის ნიკოლოოზის დღეობას, კუკიის ეკლესიაში მწირველი იქნება ექსარხოსი პლატონი. წირვა დაიწყება 9 ნახევარ საათზე.

✦ **ინგლისის მისსია** გაემგზავრა ვანის ოლქში სომეხ ლტოლვილთა დასახმარებლად და მათ გაჭირებათა აღსანიშნავად. ნაწილი მისსიის წევრთა მოივლის აზრუმს, ეჩმიაძინს, ალაშკერტსა და ვანს, ხოლო მეორე ნაწილი პირდაპირ ეჩმიაძინში მივა, იქიდან ვანში თავრიზით და იქიდან ურმიაში.

✦ **საზეიმო სადილი.** ქართველი საზოგადოება საამხანაგო სადილის გამართვას აპირებს, რომელზედაც მიპა-

...ებულ იქნებიან საერობო თათბირის მონაწილე რუსები და მუსულმანები.

◆ **ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინის მოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა საგასტროლოდ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი-იუჟინი. გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე სასტუმრო „პალას ოტელში“ მასთან იყვნენ სადარბაზოდ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელნი, დამსახურებული მსახიობნი ქართულ სცენისა ვასილ აბაშიძე, ვალერიან გუნია და დრამატიულ საზოგადოების წევრნი ნ. დ. ერისთავი და თ-დი ი. ა. ბარათაშვილი.

— **გასტროლები** დღეს, 8 მაისს იქნება სახაზინო თეატრში.

◆ **რეალური სასწავლებელი დაასრულა** კიდევ ზ. შაიშმელაშვილმა.

I **კლასიკური გიმნაზია:** ა. შაიშმელაშვილმა, მ. შენგელიამ და გ. ზურაბიშვილმა.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ უკვე მიიღო ნებართვა გამართოს საზოგადოების ქონებრივ სახსრის გასაძლიერებლად ლოტარია-ალეგრი 22 მაისს „ახალი კლუბის“ საზაფხულო ბაღში.

◆ **მუსულმანთა** საქველმოქმედო საზოგადოებას ნება დართო გუბერნატორმა მოაწყოს თბილისში 16 მაისს ფულის შეგროვება ყულაბებით.

◆ **საგანგებო კრება.** დღეს, 8 მაისს, 12 საათზე, საგანგებო კრება ექნებათ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კლუბის წევრებს. კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი კლუბის საზაფხულო ბინის შესახებ, რადგან წინანდელი ბინა სამხედრო მთავრობამ ჩამოართვა კლუბს თავის საჭიროებისთვის.

◆ თბილისის მე-6 ვაჟთა გიმნაზია წელს 22 მოწაფემ დაამთავრა. მათგან 4 ქართველია: გიორგიძე დავით, ლომბერიძე ნიკოლოზი, ყარა-ხანი მიხეილ და მდინარაძე ვარლამი.

◆ **სამეცნიერო აკადემიის გამოცემანი.** პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიამ მიანდო ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის სტამბას თბილისში ბეჭდვა „Studia hagiographica Georgica“-სი (საქართველოს ჰაგიოგრაფიის (წმინდათა) შესწავლა). ამ ჟამად იბეჭდება დეკ. კორნელი კეკელიძის ნაშრომის I ტომი აკადემიური ასოებით, რომელნიც საკუთრივ ამ გამოცემათა დასაბეჭდავად ჩამოასხმევინა ამხანაგობის მმართველმა. ამ გამოცემათა ზედამხედველობა აკადემიის მიერ მინდობილი აქვს დეკ. კორ. კეკელიძეს, რომელიც უკანასკნელ კორექტურას აკადემიას უგზავნის გადასათვალიერებლად. ეს პირველი მაგალითია, რომ სამეცნიერო აკადემია კერძო სტამბას, ისიც საქართველოში, ანდობს თავისს გამოცემათა ბეჭდვას. როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, აღნიშნულ აკადემიას განზრახული აქვს ამავე სტამბაში ბეჭდოს ყველა თავისი გამოცემანი, რომელნიც შეეხებიან კავკასიას და საერთოდ წინა აზიას.

◆ **გამოცდა კადეტთა კორპუსში** მიღებულ სტიპენდიანტებისა, რომელთა სიაც მეფის ნაცვალმა უკვე დაამტკიცა, დანიშნულია: კავკავის, ორიოლის, სუმის და კიევის კორპუსებში — 16 მაისს; ვორონეჟისა და ოდესისაში 26 და 28 მაისამდე. ხოლო პოლტავისაში 31 მაისს. შემოდგომის გამოცდის ვადა ცალკე იქნება გამოცხადებული. გამოცდაზე ყმაწვილები უნდა მიიყვანონ ამ ვადაზე დილის 8 საათისათვის. ვინც გამოცდაზე ჩაიჭრება განმეორებით გამოცდაზე არ დაუშვებენ. მსურველთ შეუძლიანთ თბილისისა და კავკავის კორპუსშიაც დააჭერინონ გამოცდა. თბილისის კორპუსში გამოცდა დანიშნულია 24—27 მაისს შემოდგომაზე კი 27—28 მარიამობისთვეს დილის 8 საათზე. ის ყმაწვილები რომელნიც კავკავის კორპუსში არიან მიღებულნი, გაზაფხულის გამოცდაზე შეუძლიანთ გამოცხადდნენ, როგორც თბილისის ისე კავკავის კორპუსში; შემოდგომის გამოცდა კი ამ ყმაწვილებისა მხოლოდ კავკავში მოხდება, სადაც გამოცდა დანიშნულია 10 აგვ. ბავშვების საბუთების მისაღებათ მშობლები ან მეფის ნაცვლის კანცელარიაში უნდა გამოცხადდნენ ან საჩქაროდ აცნობონ ამავე კანცელარიას რომელ კორპუსში სურთ დააჭერინონ გამოცდა თავიანთ შვილებს, რომ იმ კორპუსში გაიგზავნოს მათი საბუთები.

◆ **თ-დ აზნ. შვილები კადეტთა კორპუსებში.** მეფის ნაცვალმა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ კავკავისა და სხვა კადეტთა კორპუსებში დანიშნა ნამდვილ კანდიდატებათ შემდეგი ყმაწვილები: I კავკავის კორპუსის მოსამზადებელ კლასში ნამდვილ კანდიდატებად: 1) ა. პ. გედევანიშვილი, 2) პ. მ. გვერწითელი, 3) ა. ს. დეკანოზიშვილი, 4) კ. კ. კობახიძე, 5) ი. ი. მაღრაძე. სათადარიგო კანდიდატებათ (თუ ნამდვილი კანდიდატები გამოცდაზე ჩაიჭრებიან) პირველ კანდიდატათ ს. დ. ყორღანოვი, 2) შ. ა. ქურდოვანიძე, 3) ი. დ. ვეზირიშვილი, 4) ი. მ. მიქელიშვილი, 5) რ. ვ. ხმალაძე, 6) მ. ს. ჯაჯანიშვილი, 7) ი. ი. თაქთაქიშვილი, 8) ნ. გ. ქუმსიშვილი, 9) დ. ნ. გარაყანიძე, 10) მ. ი. ყიასიშვილი, 11. ი. დ. თულაშვილი, 12) კ. ნ. ყიფიანი, 13) დ. ტრ. კორძაია და მეთოთხმეტე კანდიდატათ ა. ი. ტატიშვილი.

II. **ვორონეჟის კორპუსის** პირველ და უმაღლეს კლასებში ნამდი კანდიდატებათ: 1) შ. ვ. ბარათაშვილი, 2) კ. ყ. გეგეჭკორი, 3) გ. ი. გიქიმყრელი, 4) ა. ნ. გოგიჯანოვი, 5) ნ. ა. გოგიჯანოვი, 6) გ. ვ. ქოჩაქიძე, 7) კ. ვ. ქოჩაქიძე, 8) მ. ნ. მგალობლიშვილი, 9) დ. ა. ნანეიშვილი, 10) მ. გ. ნაცვლიშვილი, 11) ა. ბ. ჩიჩუა, 12) გ. ა. შალიბაშვილი და 13) ვ. ა. შუბლაძე. სათადარიგო პირველ კანდიდატათ: 1) გ. ა. ჩიკვაიძე, 2) ვ. ე. იაშვილი, 3) ა. ვ. დუდუჩავა, 4) დ. ა. ჩიკვაიძე, 5) ბ. პ. მაჭავარიანი და მეექვსედ მ. კ. გეგეჭკორი.

III. **კიევის კორპუსში:** ნამდვილ კანდიდატათ: დელი-ბაზოვ ველი-ალა ბეიუკ-ალა. სათადარიგო კანდიდატათ: ა. ი. დავიდოვი.

IV **ოდესის კორპუსში.** 1) კ. დ. ავალიანი, 2) გ. პ. ანთაძე, 3) შ. ი. ასათიანი 4) ს. დ. დადიანი, 5) ე. ვ. დუმბაძე 5) დ. ფ ქავთარაძე 7) ი. ვ. ლილიძე 8) პ. ი. მაჭავარიანი და 9) ლ. ნ. წულუკიძე სათადარიგო პირველ კანდიდატებათ: პ. ი. მდივანი 2) ბ. გ. არჯევანიძე 3) ა. ა. ამაშუკელი და მეოთხე კანდიდატი გ. ი. კიკნაძე.

V. **ორიოლის კორპუსში:** ნამდვილ კანდიდატებად: 1) ა. კ. კობახიძე 2) ჰაჯი-მაგომეტ სიოტოკოვი და ი. ა ჩერქეზიშვილი. სათადარიგო პირველ კანდიდატათ: ე. ი. ფურცელაძე 2) ი. ჩ. ნამიტოკოვი და მესამედ ა. გ. სიოტოკოვი.

VI **სუმის კორპუსში:** ნამდვილ კანდიდატებად: 1) კ. ს. ავალიშვილი, 2) გ. ა. ყარალაშვილი, 3) ბ. კ. ყიფიანი, 4) გ. თუმანიშვილი, 5) გ. ა. შათბერაშვილი, სათადარიგო პირველ კანდიდატათ მ. კ. ყიფიანი. 2) ი. ზ. ბახუტაშვილი და მესამე კანდიდატი გ. ლ. მუჩიძე.

**ბათომი**

◆ გურიიდან ბათომში ჩამოვიდნენ სოფ. შემოქმედის საზოგადოების წარმომადგენელნი, რომელნიც ძლიერ შეწუხებულნი არიან ერთგვარი სენის გაჩენით თხილის ხეებზედ. ეს სენი რაღაც უცნაურია, რომელიც ჯერ არვის უნახავს. უჩნდება ზედ კაკალს და ხრავს. არ იციან ვის მიმართონ და რა იღონონ. თხილი კი მთელ სოფელ შემოქმედის და მისი მიდამოების მარჩენალია. დაუყონებლივ საჭიროა მიექცეს მთავრობის ყურადღება. საჭიროა აგრონომის გაგზავნა.

**გ ო რ ი.**

4 აპრილს, გორიდან გაემგზავრნენ სოფ. ოთარშენში თ-დ გიორგი ამილახვართან ნაფიცი ვექილი კოლა ყანჩაველი, თ-დი საშა ფავლენიშვილი დ ლავრენტი ქარუმიძე. ლიახვის პირას მათ დახვდათ ურემი, რომლითაც ლიახვს უნდა გასულიყვნენ. ლიახვში შესვლის უმალვე ურემი წყალმა გადააბრუნა და ყველა მგზავრები ლიახვში ჩაცვივდნენ. საშა ფავლენიშვილს ცურვა სცოდნია. მან ორთავენი დახრჩობას გადაარჩინა და ლიახვიდან გამოიყვანა.

— გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება 20 მაისისთვის შაბიამანს მიიღებს. შაბიამანი განაწილებული იქნება მხოლოდ წევრებისთვის.

**ს. ახრისი.**

ადგილობრივმა მცხოვრებმა კოტე მამულოვმა, გოლა ვათიაშვილმა, გიო გელაძემ, ბაგრატა ბენიაშვილმა, ლადო კუნდურელაშვილმა, ვასო და დათა ვათიაშვილებმა გამოაცხადეს მეჯვრისხევის ბოქაულთან რომ მათ საგლეხო ბანკის მამულში იმ დროს როცა საქონელს აძოებდნენ, დაეცნენ იარაღით ილია და კოტე ყანჩაველები, დაუწყეს ცემა და გარეკეს მამულიდგან. კოტე მამულაშვილს გაუტეხეს თავი, ხოლო დანარჩენნი დააშავეს. ყანჩაველები ეუბნებოდნენ, რომ მამული ჩვენია და დაუკითხავად რად აძოვებთო.

**ს. ბიკარი** (გორის მაზრა).

ადგილობრივ მცხოვრებ გარსო დუდაშვილს ბაღიდგან ნამყენი ვაშლის ხეები დაჰპარეს. მან განაცხადა, რომ ხეები ჩემმა მეზობელმა კოსტა დუდაშვილმა მომპარაო.



ალ. სუმბათაშვილი (იუჟინი)

# ალ. სუმბათაშვილი

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ჩვენი მიწა-წყლის ერთი უნიჭიერესი შვილი თავადი ალექსანდრე ივანეს-ძე სუმბათაშვილი.

ალ. სუმბათაშვილს იცნობს არა მარტო რუსეთი, მთელი განათლებული კაცობრიობა დიდი ხანია თვალ-ყურს ადევნებს მას.

თავ. სუმბათაშვილის პიესები გადმოთარგმნილია თითქმის ყველა კულტურულ ენებზე.

ალ. სუმბათაშვილი (სცენაზე იუჟინი) ამ ჟამად რუსეთის მწერლობასა და ხელოვნებაში პირველ ხარისხოვან ქურუმად ითვლება.

35 წელიწადია რაც ალ. სუმბათაშვილი პირველობს რუსეთის ერთს საუკეთესო სცენაზე მოსკოვის საიმპერატორო მცირე თეატრში.

ხუთმეტი წელიწადია, რაც იგი ამ თეატრის ბედიღბალს განაგებს.

ალ. სუმბათაშვილს შემოვლილი აქვს რუსეთის ყველა ურიცხვი პროვინცია და ქალაქები.

მას იცნობს რუსეთის გარდა მთელი სლავობა, პოლონეთი და ჩეხია ბულგარეთი და სერბია მრავალ გზით დამტკბარან მისი მაღალ ხარისხოვანი ხელოვნების ხილვით და მოსმენით.

ამ თექვსმეტი წლის წინედ—1900 წელს ალ. სუმბათაშვილს—პარიზში საჯაროდ ებოძა რესპუბლიკის უდიდესი ჯილდო—ნიშანი „აკადემიურის დაფნისა“.

ეს იშვიათი ჯილდო სუმბათაშვილს პირადად უბოძა თვით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ვიქტორ ჰიუგოს პიესა „ერნანში“ მეფე კარლოსის როლის შესრულებისათვის.

საფრანგეთის წარჩინებულნი მწერალნი და ხელოვანნი—ედ. როსტანი, პოლ ერვიე, პრევო, ბერნშტეინ, კოკლენ, მიუნე სიული, სარაბერნარ, რეჟან და სხვები თავს ევლებოდნენ „ხელოვნების პრინცს“ (თავადს) ალ. სუმბათაშვილს.

სარა ბერნარის ბეჯითი თხოვნით გადაითარგმნა ფრანგულად „ღალატი“.

ამ ცხრა წლის წინად, როცა მთელი რუსეთი დიდის ზეიმით დღესასწაულობდა ალ. სუმბათაშვილის 25 წლის იუბილეს, ცხონებულმა კოტე მესხმა, რომელიც ქართული თეატრის დელეგატად იყო წამგზავრებული მოსკოვში, დიდად გრძნობიერი, ფორმით ჩინებული და ფრიად სხარტი სიტყვით მიმართა თავის ნიჭიერ თანამემამულეს:

...„მართალია შენ მოშორდი პატარა საქართველოს დიდი რუსეთის სასარგებლოდ, რითაც შენი ერის მწერლობა და ხელოვნება დაობლე, მაგრამ ეგეც მართალია, რომ შენის უკანასკნელის „ღალატით“ სრულიად გამოისყიდე შენი ღალატიო“...

ალ. სუმბათაშვილი იშვიათი გონების და გემოვნების მსახიობია.

საუცხოვო პლასტიკა, აზრიანი და მომხიბლავი დიალოგი, მხატვრული პათოსი და თავდაჭერილი, ეკონომიური ტემპერამენტი—აი მისი ხელოვნური ფერადები.

გარეგნობით წარმოსადეგი და ახოვანი, მაღალი და მხარბეჭიანი, ყოფაქცევაში მარტივი და სადა, ცხოვრებაში თავაზიანი და მხიარული, იგი სცენაზე საოცარის ფერისცვალობით ასახიერებს ხოლმე სხვა და სხვა ტიპებს და ხასიათებს.

იგი საკვირველის ჯადოსნურის გარდაქმნით ასრულებს მრავალს როლებს დრამებსა და კომედიებში; ჟრუანტელის მომგვრელი და შეუდარებელია იგი ტრაგედიებშიაც. მისი ოტელო, ჰამლეტი, რიჩარდი მესამე, მაგბეტი, ფიგარო და სხვანი ქანდაკებური და ნაკვთისებური მეტყველებაა სხვა და სხვა გრძნობათა და განცდათა.

როგორც მწერალი და დრამატურგი ალ. სუმბათაშვილი იქნება უფრო მაღლა იდგეს ვიდრე ხელოვანი მსახიობი. იგი იშვიათი ინტელექტის და საზოგადოებრივი ინსტიქტის მქონეა, რაიც ყველა მის პიესებში ასე ჭარბად და ხაზგასმით მოსჩანს.

ჯენტლემენი“, „ბორკილი“, „არკაზანოები“, „სტარი ზაკალ“, „ზაკატ“, „ნევოდ“, „მუჟ ზნამენიტოსტი“ და სხვანი მრავალნი და მეტადრე „ღალატი“ დიახაც შეუძლებელია როდისმე რუსულს რეპერტუარში მოძველდნენ და მოკვდნენ.

დიდი მცოდნე სცენის ტეხნიკისა და მსახიობთა ბუნებისა, ალ. სუმბათაშვილის პიესები იმის გარდა რომ ყოველთვის საზოგადოებრივის ინტერესით და აზრით არიან გამსჭვალულნი, ყოველთვის ადვილნი და საუცხოვოდ სათამაშონი არიან სცენაზე.

ალ. სუმბათაშვილი ცნობილია რუსულს მწერლობაში როგორც ფხიზელი და მეტად მახვილი კრიტიკოსი. მან შექმნა მთელი რეალური მიმართულება სასცენო მწერლობასა და ხელოვნებაში.

ალ. სუმბათაშვილი მჭევრმეტყველია და საგანგებო ორატორი; მისებური სიტყვის მხატვარი და ოსტატი, რუსეთის სცენაზე მეორე არ მოიპოვება.

ყოველგვარ კულტურულ ზეიმსა და მწუხარების ჟამს ალ. სუმბათაშვილის მჭევრმეტყველური სიტყვა მკვირცხლად გაისმის რუსეთის ინტელიგენციის საგულისხმიეროდ. მის რჩევა-დარიგებას, მის იმედიან ძახილს და მოწოდებას მოწიწებით ყურს უგდებს ხოლმე მოწინავე რუსეთი.

ზემოდ აღნიშნულ ღირსებათა და თვისებათა გარდა, ალ. სუმბათაშვილი საზოგადო მოღვაწე და მოწინავე კაციც არის.

მისი სახლკარი მოსკოვში ერთგვარი ინტელიგენტური ბუდე და ცენტრია რუსეთის ძველს დედაქალაქში; იქ ყველა ერთნაირის ხალისიანობით ღებულობდა რჩევა-დარიგებას, დახმარება-შემწეობას და ხელის გამართვის.

ეს რამდენიმე ხანია, რაც ალექსანდრე ივანესძე სუმბათაშვილი სათავეში უდგას მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს და დიდის სიყვარულით და ღირსეულის დარბაისლობით ეწევა თავმჯდომარის ავტორიტეტულ თანამდებობას.

მის გარშემო შემოკრებილია მოსკოვში ჩვენი მოზარდი ახალთაობასტუდენტთა მეცნიერული და კულტურული საქმიანობა.

ერთი სიტყვით ალ. სუმბათაშვილი დიდი კაცია.

პირადად არ ვიცნობ ალ. სუმბათაშვილს, მაგრამ ყოველთვის გაფაციცებით თვალ-ყურს ვადევნებდი მის მადლიან მოღვაწეობას მწერლობაში, ხელოვნებაში და საზოგად ასპარეზზე.

ალ. სუმბათაშვილი ყოველთვის მხიბლავდა მე თავისის დიდის ჭკუით ფართო აზროვნობით, ბრწყინვალე ნიჭით, სამაგალითო საქმიანობით, თუმცა სრულებით არ თანავუგრძნობდი მისს განდგომას და სამშობლო კერის განშორებას...

მაგრამ ეგ ხომ პირადი შეხედულობისა და რწმენის საქმეა.

დღეს ალექსანდრე ივანესძე სუმბათაშვილი ჩვენ შორის არის, იგი დღეს საღამოს პირველად გამოდის ტფილისის დიდ სცენაზე - იგი ჩვენი ძვირფასი სტუმარია და ნიჭით და საქმით გასხივოსნებული საყვარელი ძმა და შვილია და ამიტომ ყველას, განურჩევლად აზრისა და მიმართულებისა, გვმართებს ჩვენებური ძველებური ქართველური სალამი მივცეთ და გულითადის პატივისცემით და აღტაცებით შევეგებოთ.

კეთილი იყოს მისი მოსვლა სამშობლო კერაზე.

**ვალერიან გუნია.**

# საერობო თათბირი

5 მაისი.

IV **სექცია.** თავმჯდომარეობს **ალი მარდან ბეგი თოპჩიბაშევი.** სექცია განაგრძნობს თათბირს შესახებ **ქ. თბილისის გამოყოფისა** სამაზრო ერობიდან ცალკე ერთეულად.

**ვ. ა. დემიდოვი**—ეკამათება თბილისის გამოყოფის მომხრეებს და ამტკიცებს, რომ ამას მეტად ცუდი შედეგები მოყვება მთელი კუთხისათვის. ორატორი ამტკიცებს, რომ ქალაქის მოღვაწეებს გამოყოფის სურვილი დაებადათ, რომ ამით საერობო გადასახადიდან თავი გაინთავისუფლონ.

**ა. ს. ასათიანი**—არკვევს გამოყოფის მომხრეების საბუთებს. ა. ი. ხატისოვის გაფრთხილება, რომელსაც მან იურიდიული მოსაზრება უწოდა, რომ ეხლავე თუ არ შეიტანეთ პროექტში დადგენილება თბილისის გამოყოფის შესახებ, ნუ გგონიათ შემდეგ ეს ადვილად მოხერხდეს, ვინაიდან რუსეთის 50 ქალაქი ნახევარი საუკუნეა თხოულობს და ჯერ კიდევ არ გამოეყვენ ერობიდანაო, სწორედ გაფრთხილებად უნდა მივიღოთ. სასურველიც რომ იყოს თბილისის გამოყოფა, ჩვენ ისეთი დადგენილების გამოტანით, რომელსაც როგორც სჩანს არ თანაუგრძნობს არც მთავრობა და არც კანონმდებლობა, ერობის შემოღებას დიდის ხნით გადავდებთ. ასეთივეა ა. ი. ხატისოვის ისტორიკო-პოლიტიკური ხასიათის მოსაზრება, მეცნიერებს იმოწმებს და გვისურათებს საშინელს ზრდას ქალაქთა მცხოვრებლებისა ევროპაში და თვით რუსეთში. მე ამას დავსძენ მხოლოდ, რომ ჩვენი თბილისი ამ შემთხვევაში რუსეთის და თვით ევროპის ქალაქებს არ დაუვარდება. რაღაც მეოთხედი საუკ. განმავლობაში თბილისის მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა ხუთჯერ, ამას თუ დავუმატებთ ცნობილ ეკონომისტების კარლოს ბიუხერის მოსაზრებებს და სხ. ქალაქებისა და მის გარშემო მდებარე რაიონების შორის დამოკიდებულების შესახებ, დავინახავთ, რომ ქალაქის გამოყოფა ამ რაიონიდან შესაძლოა, მხოლოდ ქაღალდზედ დახატულ გეგმაზედ და არა სინამდვილეში, „წარიშალა საზღვრები ქალაქისა და მის გარშემო მიდამოებს შორის, ამბობს ეს ეკონომისტი და ეს ა. ი. ხატისოვის ისტორიული საბუთიც გვიკარნახებს არა ქალაქების გამოყოფას ერთს ეკონომიურ ერთეულიდან არამედ სრულიად ამის წინააღმდეგს. სულ სხვა ღირსების არის ბ. ხატისოვის მესამე—ფინანსიური მოსაზრება. ქალაქები ერობას დიდს თანხას აძლევენ და სამაგიეროდ ძლიერ ცოტას ღებულობენო. ერობიი უმთავრეს ხარჯებს შეადგენს გზების გაყვანა, სახალხო სწავლა განათლება, თუ მედიცინა და სანიტარია. თითქმის ყველა მაზრაში გაყვანილი გზები ქალაქისაკენ მიეშურება. სწავლა განათლებით აღჭურვილნიც ქალაქისაკენ მიისწრაფვიან და მას ემსახურებიან და ჯანმრთელობის დაცვა მაზრაში ხომ ქალაქს იფარავს—ათასგვარ სენისაგან. ვინ გამოიანგარიშებს ყოველ ამ სარგებლობაში, რა წილი უდევს ქალაქს და რა სოფელს. აი სწორედ ამით სარგებლობს ბ. ხატისოვი. რასაც ქალაქის მცხოვრებნი ერობას გადასახადს აძლევენ, ეს ციფრებში არის გამოხატული და წიგნებშიდ ალბეჭდილი. და რა სარგებლობას მოუტანს ქალაქს კარგი გზები და გონიერი მცხოვრებნი ამას ვინ გამოიანგარიშებს. ამით აიხსნება, რომ ისე დაჟინებით იძახიან—ქალაქი ამდენს იხდის, სოფელი კი ნაკლებს და ამიტომ არ გვინდა მასთან საერთო ოჯახური საქმე ვაწარმოვოთო.

ყოველივე ეს იქნება სამართლიანიც იქნებოდა, რომ ეს საკითხი საერობო, მაშასადამე სახელმწიფოებრივი საკითხი კი არ იყოს, არამედ კერძო, ვაჭრული. თუ თქვენ გადიხდით 5 არშინ მაუდის ფასს, უთუოდ ხუთი არშინი უნდა გაგიხვიონ და არა ნაკლები. მაგრამ შეუძლიან მოითხოვოს, ვთქვათ ნობელმა, ან მანთაშევმა—მე სახელმწიფოს იმდენ გადასახადს ვაძლევ რამდენსაც მოსკოვის რაიონის ყველა მუშები და ამიტომ ნება უნდა მომეცეს, როგორც მათ, მე, ერთმა კაცმა საკუთარი დეპუტატი გავგზავნო სახელმწიფო სათათბიროშიო. ასეთს მოთხოვნილებას ისეთივე საბუთები ექნება, როგორც ბ. ხატისოვის მოსაზრებების. საერობო თვითმმართველობა სახელმწიფოებრივი სხეულის ნაწილია და სახელმწიფო კი აქციონერული საზოგადოება არ არის, რომ მან უფლება-მოვალეობანი გაანაწილოს დახარჯული ფულის მიხედვით. სახელმწიფო სახელმწიფოს ფართე ფარგლებში და ერობაც ვიწრო საზღვრებში გადასახადს ჰკრეფენ და რასაკვირველია მცხოვრებთა შეძლების მიხედვით (დაახლოვებით) და საზოგადოებას ემსახურებიან არა იმის მიხედვით, ვინ რამდენი გადიხადა, არამედ საჭიროების გვარად. ამიტომ არის მიუღებელი ბ. ხატისოვის „ანგარიში“—ქალაქი ამდენს იძლევა და ამდენივე უნდა დაუბრუნოთო.

რომ ქალაქების სურვილი გამოყოფისა ამ „ანგარიშებზედ აღმოცენდა, ამაზედ ცნობილ ბ. ვესელოვსკის დავიმოწმებ. რუსეთში ერობა შემოიღეს, სოფლებში მუშაობა გაჩაღდა, გაყავდათ გზები, აშენებდენ სკოლებს და სხ. და წარმოიდგინეთ, პირველ 25 წლის განმავლობაში ქალაქები ამ ხარჯებში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდენ, ისეთი მდიდარი ქალაქიც, როგორიცაა მოსკოვი საერობო გადასახადს არ იხდიდა და რასაკვირველია, ერობიდან გამოყოფას იმ დროს აბა, რომელი ქალაქი მოინდომებდა. 1890 წლებიდან საერობო გადასახადი ქალაქებსაც დაადვეს და აი აქედან იბადება მათში სურვილი გამოყოფისა. ქალაქებს სურვილი ბ. ვესელოვსკის სიტყვით სწორედ მხოლოდ „კომერციულ ანგარიშზედ“ არის დამყარებული. მაგრამ მივიღოთ ეს „ანგარიში“ სახელმწიფოებრივ განწყობილებაშიაც, ვინაიდან ეს ბ. ხატისოვს მეტად „სამართლიანად“ მიაჩნია. სამაზრო ერობიდან მისი აზრით უნდა შეეძლოს გამოსვლა ქალაქებს არა ნაკლებ 25 ათასი მცხოვრებით. მაგრამ თუ ქალაქი 23 ათასი მცხოვრებით მდიდარია და საერობო გადასახადს ორჯერ მეტს იხდის ვინემ 25 ათასიანი და სარგებლობა კი კიდევ ნაკლები აქვს? თუ კურორტებს, რომელთაც გარეშე მაზრებთან უფრო ნაკლები დამოკიდებულება აქვთ, ვინემ ჩვეულებრივ ქალაქებს, უნდათ გამოყოფა? რათ იქმნება უსამართლო მათი მოთხოვნილება? და თუ არა ქალაქებმა, არამედ მდიდარ სოფლებმაც მოინდომეს ერობიდან გამოყოფა, რათ უნდა ჩაითვალოს მათი სურვილი უკანონოთ, თუ ყოველივე დამოკიდებულია იმაზედ თუ რას იხდის ის და რა ღებულობს. ან იქნება ეს ციფრი 25 ათასი ჰბადებს სამართლიანობას. მეორეს მხრით ბ. ხატისოვმა გვამცნო, რომ რუსეთში არა მდიდარი ქალაქებიც მოიპოვება. ზოგიერთი მათგანი ერობას ძლიერ ცოტას აძლევ გადასახადს და მათ მდიდარი მაზრა ინახავსო, შეუძლიან მათ გამოყოფა თუ არა? რასაკვირველია, მათი ქალაქის თავები ბ. ხატისოვივით არ დაიწყებენ გამოყოფის საჭიროების მტკიცებას. ისინი არ ისურვებენ, მაგრამ მაზრას ექმნება თუ არა უფლება, რომ ეს ღარიბი ქალაქები გარიყონ. ნუ თუ მარტო მდიდარ ქალაქებს უნდა ჰქონდეს ღარიბი სოფლის მოშორების „სამართლიანი“ უფლება და მაზრას კი არა?

ასეთია „სამართლიანი“ მოთხოვნილება ბ. ხატისოვის შესახებ თბილისის გამოყოფისა. თბილისი გულია მთელი კუთხის ისტორიულად, ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად და მთელ მხარესთან მტკიცე კავშირით გადაბმული და გადაჯაჭვული. ქალაქი, ქალაქის საზღვარი არის მხოლოდ სიტყვა, ცნება, სინამდვილეში-კი ქალაქი და გარშემორტყმული რაიონი ერთი განუყოფელი სხეულია და ცხოვრობს საერთო ქონებრივ და გონებრივ ინტერესებით. ერობა არის ადგილობრივი თვითმართველობა რომელიც უნდა აშენდეს ამ ერთს განუყოფელ ერთეულზედ და თბილისის ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფის საჭიროებაში ვაჭრული ანგარიშებით ვერ დაგვარწმუნებენ.

### ქალაქის თვითმართველობა და სასურსათო საქმე

ქართველ მეპურეთა ამხანაგობას მოუვიდა ნიკოლენკოს წისქვილიდან 15 ვაგონი ფქვილი. თითო ტომარას ამ ფქვილს ამხანაგობა აძლევს თავისს წევრებს 16 მანეთად და 20 კაპეიკად. ქალაქის გამგეობა იმავე ნიკოლენკოს წისქვილიდან მოსულ ფქვილს 1 ტომარას ჰყიდის 17 მან. 40 კაპ. ამ რიგად, როგორც ვხედავთ, ქალაქის გამგეობა ერთსა და იმავე ფქვილს ექვსი აბაზით უფრო ძვირად ჰყიდის. მაგრამ ეს კიდევ მცირეა: სანამ მეთორნეები მტკიცედ არ დაადგენ თავიანთ მოთხოვნილებას, გამგეობა 1 ტომარა ფქვილს ჰყიდდა 17 მან. 90 კაპ. და როცა მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია, მაშინ დააკლო ფასს ათი შაური და მეთორნეებს აღუთქვა, რომ, ვისაც დღემდის წაღებული ჰქონდა ფქვილი, ტომარაზე ათ შაურს უკან დავუბრუნებთო. საჭიროა ვიცოდეთ: 1) ქალაქის გამგეობას რომელი ანგარიშით უჯდება 1 ტომარა ფქვილი ექვსი აბაზით უფრო ძვირად, 2) რა ანგარიშით დააკლო 1 ტომარა ფქვილს ათი შაური და 3) ვინ ზარალობს დაკლებულ ათ-ათ შაურს, რაიცა 2400 მანეთს შეადგენს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ სულ 24 ვაგონი ფქვილი იყო წაღებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქურიის ამ-ბარში

(წერილი ოზურგეთიდან)

**ორიოდე სიტყვა ქალთა წრის დაარსების შესახებ ოზურგეთში.**

ვინც ქართულ ჟურნალ-გაზეთობას და საზოგადოდ ჩვენს ცხოვრებას ადევნებს თვალყურს, ერთს თვალსაჩინო და სასიამოვნო მოვლენას შეამჩნევდა ამ ბოლო ხანებში—ქართველი ქალის გამოფხიზლების ნიშნებს. ოდესღაც ყოფილა ჩვენს ისტორიაში ოქროს ბრწყინვალე ეპოქა და გვყოლიან ქართველი ქალები, რომელთაც ღირსეულად უფრიალებიათ შვილის აღმზრდელის, მეოჯახის, მამულისთვის თავდადებული დამცველის, ნამდვილი მოქალაქის დროშა. დიდი და პასუხსაგები როლი უთამაშნიათ საქართველოს ცხოვრებაში, რის საბუთებიც ობოლი, თვალმჭრელი მარგალიტივით მრავლადაა გაბნეული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

შემდეგ გადატრიალდა უკუღმა ბედი... და ქართველმა ქალმაც დაივიწყა მისი წმინდა მოვალეობა, რომ „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, დაძაბუნდა იგი სულით, ჩამოსცილდა იგი საზოგადოებრივ ცხოვრებას: სუსტმა და დაკნინებულმა მამაკაცს დაუთმო მთლიანად სამოქმედო ასპარეზი და ამით უფრო მკაფიოდ დაამტკიცა თვისი სიუძლურე.

მამაკაცმა ალღო აუღო ამ სამწუხარო მოვლენას და ქალის სისუსტით გამხნევებულმა, დრო იგდო ხელთ, მთლად გააქარწყლა ქალის პიროვნება თვისი „გულკეთილი“ მფარველობით და თავაზიანი მოპყრობით. ასეთი მზრუნველობა მამაკაცის მხრით თანდათან გაღრმავდა, ფესვი გაიდგა საზოგადოებაში და ბოლოს ისე დაუწყეს ყურება, ვით სათამაშო ნივთს, ვით დაბალი ღირსების არსებას და მის მოვალეობად მხოლოდ ოჯახი—სამზარეულო და შთამომავლობის მომრავლება გამოაცხადეს.

ყველა ამას ხელი შეუწყო თვით ქალისავე ბრმა მორჩილებამ მამაკაცისადმი... მან დაკარგა თავისი პიროვნება, საკუთარი „მე“ და ყურმოჭრილი მონა შეიქნა ოჯახის „ბატონპატრონის“, მბრძანებელის, უფროსის—ქმრის.

საზოგადოებრივი საქმიანობა და მოქმედება კი თავის მონოპოლიად გაიხადა მამაკაცმა; იუკადრისა ქალთან ერთან, ხელიხელ ჩაკიდებულა ბრძოლა უკეთესი მომავლის მოპოვებისთვის. ქართველი ქალი სიჩუმით შეხვდა თავის დროზე ამ მოვლენას, მას თითიც არ გაუნძრევია შეურაცხყოფილი და შელახული თავმოყვარეობის დასაცავად, ძალით წაგლეჯილი უფლების ალსადგენად, კრინტი არავის დაუძრავს და ასეთი „მოწყალების“ გაღებაზე საშინელი ძუნწი და კრიჟანგია მამაკაცი: თავისი უფლება თუ არ გაიფართოვა, უკვე მოპოვებულიდან, რა თქმა უნდა, არას დაუთმობდა ქალს და თავს არ შეიზღუდავდა, ისიც თავისი სურვილით.

ყველგან დაუხშეს კარი... უფლება აჰყარეს ქალს და მოვალეობა კი დიდი დააკისრეს. ხელმძღვანელის, მმართველის უფლება თვითონ დაიტოვა მამაკაცმა; იგი უნდა ყოფილიყო გზის მაჩვენებელი უნებო არსების, ამ „უსულო მანქანის“ ამმუშავებელი და, საითაც უნდოდა, იქით უზამდა პირს ხომალდს გამოცდილი „მეზღვაური?“ ამის გამო იწყო ქალმა სულით და გულით დაკნინება-დასუსტება და სწრაფად მიექანებოდა გონებრივ დაჩლუნგების გზაზე.

მაგრამ ცხოვრება განვითარდა შემდეგში, გართულდა და მკაფიოდ უკარნახა ქალს საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლის საჭიროება, თუ არ უნდოდა მას მთლად უპიროვნო არსებად გადაქცეულიყო, სრულ არარაობად.

როგორც დასავლეთ ევროპაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც მაგრად იკიდებს ფეხს ჩვენშიც მსხვილი კაპიტალი, ინდუსტრია, მრეწველობა—ეს ერის მამოძრავებელი ძალა, უდიდესი ფაქტორი ხალხის გაძლიერებისა.

თანდათანობით მოსწყდა ოჯახს ქალი, მან ბაზარზე გამოიტანა გასაქირავებლად სამუშაო ძალა; არამც თუ ხელმოკლე და გაჭირვებული წრიდან, არამედ საშუალო, ე. წ. ინტელიგენციის წარმომადგენელნიც მრავალნი მოიძებნებიან დღეს, რომ საკუთარი შრომით, თავისი მარჯვენით ირჩენენ თავს—ეს სირცხვილად აღარ ითვლება; ნელ-ნელა ინთავისუფლებს თავს მამაკაცის დამოკიდებულებისაგან ქალი.

ასეთ ჯგუფებს გაუჩნდათ საერთო ინტერესები, რომელთა დასაცველად შეერთება-შეკავშირება შეიქნა საჭირო, რადგან ერთი-ორის ამოძახილი დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, ერთად აღებული მთლიან ჯგუფს კი ყველა გაუწევდა ანგარიშს, ასეც მოხდა: დაიწყეს კანტი-კუნტად აქა-იქ ბაასი (განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში) ქალის უფლებაზე, მისი ბუნების შესწავლაზე.

ბოლო დროს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, თვით ქალები ჩაებნენ საზოგადოებრივ ფერხულში, ხმა აღიმაღლეს თავიანთი უუფლებობის წინააღმდეგ და მედგრად გაიძახიან: „გზა მიეცით ახალ ძალას, აღარ გვსურს გარიყულად ყოფნა, თქვენ—მამაკაცებთან ერთად ჩვენც შეგვიძლიან მხარი-მხარ შრომა და არა თქვენზე ნაკლებ ნაყოფიერი შრომაც“.

ამას ამოწმებენ და ადასტურებენ ის მრავალი წრეები და საზოგადოებანი, რომელნიც მოეფინენ ჩვენ სამშობლოს, ამასვე მოწმობენ ამას წინად ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი პატივცემულ ბანოვანთა პროტესტი ქართ. კულტ. განმანათლებელ კავშირის დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ, რომ არც ერთი ქალი არ ამოირჩიეს გამგეობაში.

ამ მხრივ ოზურგეთელ ქალებსაც ემჩნევათ გამოფხიზლება, არც მათ ისურვეს ჩამორჩნენ საქართველოს სხვა კუთხის ქალებს, მათაც მოისურვეს თავისი წვლილის შეტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ უნდათ მიზეზი მისცენ, რომ უკიჟინოს ვინმემ მცონარეობა და უგნურობა-უილაჯობა, მოუმწიფებლობა.

ჯერ კიდევ შარშან რამდენიმე ასეული სამოსი შეუკერეს და გაუგზავნეს კავკასიის ფრონტზე მებრძოლთ, მაგრამ ეს იყო, ასე ვთქვათ, წრის მაგვარი, დროებითი შეკავშირება, რომელსაც ინტენსივობა აკლდა, ფხა არ ჰქონდა მათს გამოსვლას და ერთდროული შემოწირულების შეკრებით გათავდა მათი მისიაც. ეხლა-კი, ეტყობა, სერიოზულად მოენდომებიათ საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობა და ამ დღეებში გაგზავნეს მთავრობასთან დასამტკიცებლად შემუშავებული და ხელმოწერილი წესდება ქალთა წრისა.

ჩვენ მეტი აღარა დაგვრჩენია-რა, რომ სიხარულით მივეგებნეთ მათ გადადგმულ ნაბიჯს.

გ. ჯავახი.

## შემოწირულება

მივიღეთ მღვდ. კორნელ ელიზბარაშვილის ხელით, გლდანის საკრედიტო ამხანაგობისაგან აჭარელთა სასარგებლოდ გადადებული ერთი თუმანი.

—

მივიღეთ აგრეთვე თ-დ კ. ერისთავისაგან: 5 მანეთი ქართულ მოღვაწეთა აგარაკის ასაგებად. 5 მანეთიც ევდოშვილის გვირგვინის მაგივრად მათ ოჯახის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

კბილის ექიმმა

**მამულაიშვილმა**

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 9—15 მაისამდე.**

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი,—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**სამშაბათი**—სიმებიანი ორკესტრი
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი,—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა.—გათავებისას დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი,—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**შაბათი**—ოპერეტკა რუსულ ენაზე.
**კვირა**—სინემატოგრაფი—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე. სპექტაკლებისა და სინემატოგრაფისა—$8^1/_2$ საათზე.

შესასვლელი ფასი კლუბში ჩვეულებრივია. საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1 მ.—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. (1—65—1

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

ექიმი

### ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1, სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

### ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

დ. ზესტაფონში

ექიმი

### დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

### კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ტელეფონი, 17—21.

### ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

### სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.

წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—1)

ექიმი

### მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**ექიმი-დოსტაქარი**

### გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## შეშის საწყობი

### ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

### საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

### საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი

### ადამ ზურაბის ძის

## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

## ვაგზლის სამკურნალოში

**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**

### სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—24)

# მოდის მაღაზია

## მ. გაშარულისა

### სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

## მხოლოდ ევროპიული

(—83—)

### გაზ. „საქართველოს“

წლიურ ხელის მომწერთ დღეიდან შეუძლიანთ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა 4) **„მერანის“** მიღება

ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

### თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

საგალანტერიო მაღაზია

### ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

## გამოსადეგი ცნობა

კავკასიის სამკურნალო ადგილების

### ცნობის მიმცემი ბიურო

**(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)**

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი **ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია



ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

### „ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით** და მასთანვე

### სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

**წიგნის მაღაზია**

### „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“)

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

### თევზის მრეწველნი

## ძმ. მეგვინეთუხუცესი

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

### განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„დ. მაილოვის-ძმით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„„მგოშნი“ ხიზილალა,** აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, ბაზაზის შესახვევი № 4.